1977

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1977 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

75.722

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1977 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

19. საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

20. მეცხოველეობის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

21. საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ქვაბზედამხედველობისა და ამწე ნაგებობებისადმი ზედამხედველობის შესახებ
22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 დეკემბრის № 1006 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ
23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტის“ შექმნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 იანვრის № 57 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 აპრილის № 307 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
26. „საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 ივლისის № 427 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 9 ივნისის № 323 დადგენილების დამატების შესახებ.
28. ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოეტლებით ინვალიდების უზრუნველყოფის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
29. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე საგზურებისა და საკურსეების უქონლად სამკურნალოდ ან დასასვენებლად ჩამოსული მოქალაქეებისაგან საკურორტო გამოსაღების გადახდევინებისა და მისი ხარჯვის საქმეში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ.
30. რესპუბლიკის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების იმ წყლის ობიექტების (ან მათი ნაწილების) ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებითაც სარგებლობა ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვას ექვემდებარება.
31. იურიდიული კადრებით სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
32. სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.
33. საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
34. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 4 თებერვლის № 98 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
35. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 მარტის № 290 დადგენილების მე-13 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
36. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 თებერვლის № 112 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
37. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 21 თებერვლის № 154 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
38. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა დებულების დამტკიცების თაობაზე.
39. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 თებერვლის № 161 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

19 საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სსრ კავშირის კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის შესახებ", რომელშიც აღნიშნულია, რომ სოციალისტური სახელმწიფოებრიობის სრულყოფა, დემოკრატიის შემდგომი განვითარება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცება, მშრომელთა აქტივობის გაძლიერება სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში განუყოფელად არის დაკავშირებული საბჭოთა კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფასთან, მისი სტაბილურობისა და ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან.

საბჭოთა კანონები გამოხატავენ ხალხის ნებას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკას, დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენს ქვეყანაში სოციალურ პროცესთა მართვის საქმეში.

უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა განხორციელდა იმისათვის, რომ კანონმდებლობა შეესაბამებოდეს სოციალისტური საზოგადოების მიერ მიღწეულ ახალ დონეს. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა საბჭოებმა, მათმა პრეზიდიუმებმა, სსრ კავშირის მთავრობამ და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებმა მიიღეს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები საბჭოთა ხალხის ცხოვრების ბევრ მთავარ პრობლემაზე, რომლებსაც დიდი სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა აქვთ.

სკკპ XXV ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია საბჭოთა სახელმწიფოს კანონთა კრებულის გამოცემა. ამ ამოცანის შესრულება ხელს შეუწყობს კანონიერების, საზოგადოებრივი დისციპლინისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად ცნეს, რომ თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაში მომზადდეს და გამოიცეს შესაბამისი რესპუბლიკის კანონთა კრებული.

„ სსრ კავშირის კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 სექტემბრის № 716 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საჭიროდ ჩაითვალოს მოეწყოს საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მომზადება და გამოცემა, რომელშიც შეტანილ იქნეს საკანონმდებლო აქტები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს უმნიშვნელოვანესი ერთობლივი დადგენილებანი და რესპუბლიკის მთავრობის საერთო-ნორმატიული ხასიათის დადგენილებანი.

2. სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და საქართველოს სსრ კანონთა კრებულის გამოცემის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდეს საკოდიფიკაციო და სხვა გამსხვილებული აქტები, აგრეთვე კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის საჭირო აქტები.

3. დაწესდეს, რომ:

— საქართველოს სსრ კანონთა კრებულში შესატანი აქტების პროექტებს მოამზადებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა ეს დაკავშირებულია მართვის შესაბამის დარგში კანონმდებლობის სრულყოფის საკითხთა გადაწყვეტასთან, — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად;

— საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მასალის ფორმირებას და დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მომზადების ხარისხისა და ამ კრებულში მოსათავსებელი სამართლებრივი აქტების სისრულისათვის.

4. შეიქმნას საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემისადმი საერთო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად კომისია და შეყვანილ იქნენ მის შემადგენლობაში საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი (კომისიის თავმჯდომარე), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი, საქართველოს სსრ პროკურორი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ კანონთა კრებულის გამომცემ კომისიას 1977 წლის ნოემბრის ბოლომდე წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) წინადადებანი საქართველოს სსრ კანონთა კრებულის სქემის, მისი მასალების ფორმირების ძირითადი პრინციპებისა და კრებულის მომზადებული ნაწილების განსახილველად წარდგენის წესის შესახებ;

ბ) საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის გეგმა, ამასთან გაითვალისწინოს მასში კრებულის ნაწილების გამოცემის ვადები და კრებულში შესატანი აქტების პროექტების შემუშავების დავალებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დავალებანი განსაზღვროს სამინისტროთა და უწყებათა წინადადებების გათვალისწინებით;

გ) წინადადებანი საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა საკითხებზე.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულება კრებულში შესატანი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობისათვის, სპეციალისტთა გამოყოფა კრებულის მასალების ფორმირების დროს წამოჭრილი საკითხების განსახილველად და კრებულის ნაწილების შესახებ დასკვნებისა და სხვა საჭირო მასალების წარდგენა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსათვის.

7. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უზრუნველყონ მეცნიერ მუშაკთა აქტიური მონაწილეობა საქართველოს სსრ კანონთა კრებულის მასალების მომზადებაში.

8. საქართველოს სსრ კანონთა კრებულის შექმნისათვის ნორმატიული ბაზის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 ივლისის № 427 დადგენილების შესაბამისად დაამთავრონ საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემა 1979 წლის ბოლომდე.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ერთი თვის ვადაში განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს გამოეყოს დამატებითი სადგომი საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის რედაქციის მუშაკთა მოსათავსებლად.

10. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სარედაქციო ჯგუფისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდისა და დამატებითი სამტატო ერთეულების გამოყოფის საკითხები.

11. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. **შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. **პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 26 აპრილი, № 327

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

20 მეცხოველეობის საკითხებზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მეცხოველეობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 18 დეკემბრის № 1040 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. პატარიძე.

ქ. თბილისი, 1977 წ. 29 მარტი, № 256

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 29 მარტის № 256
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 18 დეკემბრის № 1040 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 20 ივნისის № 624 დადგენილება „1947 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 9 ივნისის № 1967 დადგენილება)“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 17 ივლისის № 740 დადგენილება „1947 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წმინდამატყლიანი და ნახევრადმქისე მატყლიანი ცხვრის სულადობის აღრიცხვის ჩატარების შესახებ“.

3. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 17 სექტემბრის № 1077 დადგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმების დასაკომპლექტებლად 1948 წელს ჯიშიანი პირუტყვისა და ცხენების დამზადების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 2 აგვისტოს № 1011 დადგენილება „მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ცხვრის ჯიშობრივი დარაიონების გეგმისა და ამ გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

5. მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 21 მარტის № 346 დადგენილებისა „საქართველოში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

21 საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ქვაბზედამხედველობისა და ამწე ნაგებობებისადმი ზედამხედველობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს „ცენტროსოიუზის“ გამგეობის წინადადება და 1977 წლის 1 ივლისიდან ცეკავშირის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ქვაბზედამხედველობა და ამწე ნაგებობებისადმი ზედამხედველობა დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტს იმ მოცულობით, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული კომიტეტის დებულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 1 მარტი, № 138

22 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 დეკემბრის № 1006 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„იმ ძირითად დებულებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლის, აღდგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და გაუქმების წესს, სააქტო დავთრების შენახვის წესსა და ვადებს“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 დეკემბრის № 1006 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 14 თებერვლის № 64 დადგენილება „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლისა და აღდგენის წესების დამტკიცების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 ივნისის № 403 დადგენილებით დამტკიცებული მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მოქალაქეთა ასაკის დამდგენი კომისიის დებულების მესამე თავის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„ასაკის დამდგენი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში“.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 დეკემბრის № 1016 დადგენილებით დამტკიცებული ძირითადი დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა შეცვლის, აღდგენისა და გაუქმების წესს, სააქტო დავთრების შენახვის წესსა და ვადებს, დაეგზავნათ სახელმძღვანელოდ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ყველა რაიონისა და ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს 1976 წლის 20 დეკემბერს (№ 4923).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 3 მარტი, № 142

23 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემაში საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტის“ შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სარემონტო ქარხნების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, ამ სისტემაში წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიღებულ იქნეს „საქსოფლტექნიკის“ წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკასთან“, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, და ნება დაერთოს მას შექმნას დიღმის საცდელი სარემონტო-მექანიკური ქარხნის, ქარელისა და საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხნების ბაზაზე საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტი“ არსებული საშტატო რიცხოვნობისა და ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

საწარმოო გაერთიანებამ „საქსოფლრემონტმა“ თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 მარტის № 212 დადგენილებით დამტკიცებული საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) დებულებით.

2. ჩაითვალოს დიღმის საცდელი სარემონტო-მექანიკური ქარხანა საწარმოო გაერთიანება „საქსოფლრემონტის“ მთავარ საწარმოდ, ხოლო ქარელისა და საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხნები — მის საწარმოო ერთეულებად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 14 მარტი, № 158.

24 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 იანვრის № 57 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ელექტროენერგეტიკის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 იანვრის № 57 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 ივლისის № 882 დადგენილება „იმ ელექტროენერგიის საფასურის გადახდევინების წესის შესახებ, რომელსაც სახელმწიფო ელექტროსადგურების ელექტროქსელი აწვდის კოლმეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მომხმარებლებს“;

2. 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 11 აპრილის № 404 დადგენილებისა „სარწყავ არხებზე აშენებული ჰიდროელე-

ქტროსადგურების, წისქვილებისა და საღერღების მუშაობის პირობების სახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 21 მარტი, № 177.

25 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 აპრილის № 307 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მეცხოველეობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 18 დეკემბრის № 1040 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 აპრილის № 307 დადგენილება „საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს დამამზადებელ პუნქტებში რძის მიღების მოწესრიგებისა და რძის დამზადების დროს ბოროტმოქმედების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ", გარდა მე-6 პუნქტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 21 მარტი, № 178

26 „საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 ივლისის № 427 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოსაცემად მომზადების ვადად, ნაცვლად 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული 1974-1980 წლებისა, დაწესდეს 1974-1978 წლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოცემისა-ვადად, ნაცვლად მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 1974-1980 წლებისა, დაწესდეს 1974-1979 წლები.

3. მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობის კრებულის გამოსაცემად 1977-1979 წლებში სასტამბო ქაღალდი ამ სამინისტროს განაცხადების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 21 მარტი, № 180.

27 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 9 ივნისის № 323 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„სოფლად სატელეფონო კავშირის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 9 ივნისის № 323 დადგენილების მე-11 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„პირები, რომლებიც დაამთავრებენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს კავშირგაბმულობის პროფესიების მიხედვით, მოვალენი არიან იმუშაონ კავშირგაბმულობის საწარმოებში შესაბამისი ორგანოების გაგზავნით სულ ცოტა ორ წელიწადს მაინც“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 31 მარტი, № 212.

28 ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოციკლეტებით ინვალიდების უზრუნველყოფის წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოციკლეტებით ინვალიდთა უზრუნველყოფის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ:

ა) საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან იმ საზოგადოებრივი კომისიების შექმნისა და მუშაობის წესი, რომლებიც განიხილავენ ინვალიდთა განცხადებებს მათთვის ხელით სამართავი „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილებისა და მოტოეტლების მიცემის შესახებ და გასცემენ დასკვნებს მათ გამო;

ბ) გამოუყოს 1977 წლიდან თავისი ფონდიდან აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს ხელით სამართავი „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილები და მოტოეტლები ინვალიდთათვის.

3. ზემოაღნიშნული ინსტრუქციის დამტკიცებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „ხელით სამართავი ავტომობილებით ინვალიდთა უზრუნველყოფის წესის შეცვლის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 30 დეკემბრის № 626 დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტები და ამ დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია სამამულო ომის ინვალიდებისა და სხვა ინვალიდებისათვის სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან ხელით სამართავი „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილების მიცემის წესისა და მათი გამოცვლის წესისა და ვადების შესახებ";

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 5 იანვრის № 11 დადგენილება „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსათვის „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომანქანების სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის მიცემის უფლების მინიჭების შესახებ";

გ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 იანვრის № 42 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 11 მარტის № 115 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 4 აპრილი, № 220.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 4 აპრილის № 220
დადგენილებით

ინსტრუქცია

ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოეტლებით ინვალიდთა უზრუნველყოფის წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ხელით სამართავი ავტომობილებითა და მოტოეტლებით ინვალიდებს უზრუნველყოფენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებანი მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამ მიზნით გამოყოფილი ფონდების ფარგლებში.

2. ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების გაცემის საფუძველს წარმოადგენს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნა იმის შესახებ, რომ ინვალიდებს აქვთ სამედიცინო ჩვენებანი მათი მიღებისათვის.

დასკვნის გამოტანისას საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია ხელმძღვანელობს აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა მიღებისათვის სამედიცინო ჩვენებების ნუსხებით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

3. ინვალიდთა განცხადებებს და მათ დანართ დოკუმენტებს ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების მიცემის (გამოცვლის) შესახებ წინასწარ განიხილავენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან შექმნილი საზოგადოებრივი კომისიები, რომლებიც გამოიტანენ მათ გამო თავიანთ დასკვნებსა და რეკომენდაციებს ტრანსპორტის მიღების რიგითობის შესახებ, აგრეთვე შრომითი დასახიჩრების, საერთო დაავადების გამო ან ბავშვობიდან ინვალიდებისათვის შეღავათიან პირობებში ან უფასოდ მოტოეტლების მიცემის შესახებ.

საზოგადოებრივი კომისიების შექმნისა და მუშაობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

4. ინვალიდებს, რომლებსაც ხელით სამართავი ავტომობილების ან მოტოეტლების მიღების უფლება აქვთ, შეუძლიათ თავიანთ სარგებლობაში ჰქონდეთ მხოლოდ ერთი სახეობის აღნიშნული ტრანსპორტი.

ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში (საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემისა) სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფ ინვალიდებს ხელით სამართავი ავტომობილები და მოტოეტლები უფასოდ ან შეღავათიან პირობებში არ მიეცემათ.

5. ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების ტარებას ინვალიდებს შეასწავლიან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები.

ხელით სამართავი ავტომობილების ან მოტოეტლების უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მიღების უფლების მქონე ინვალიდებისათვის სატრანსპორტო საშუალებათა ტარების სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯები (მათ შორის უფასო მგზავრობა სწავლების ადგილამდე და უკან, კვება, აგრეთვე საერთო საცხოვრებლის საფასურის გადახდა სხვა ქალაქელთათვის) გაიღება საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ბიუჯეტებში სოციალური უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან.

6. იმ შემთხვევაში, თუ ინვალიდს მძღოლის მოწმობა ჩამოერთმევა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის, ხელით სამართავი ავტომობილისა და მოტოეტლის ექსპლუატაციის ვადა გაგრძელდება მძღოლის უფლების ჩამორთმევის პერიოდისათვის.

ინვალიდთათვის ავტომობილის ტარების უფლების ჩამორთმევის შესახებ სახელმწიფო ავტოინსპექცია აცნობებს სოციალური უზრუნველყოფის იმ ორგანოებს, რომელთა აღრიცხვაზე იმყოფებიან ისინი როგორც ტრანსპორტის მფლობელნი.

II. საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში ინვალიდთა შემოწმების წესი

7. ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების მიღების უფლების სამედიცინო ჩვენებების განსაზღვრისა და მათი ტარების საწინააღმდეგო ჩვენების გამოვლინების მიზნით ინვალიდთა სამედიცინო შემოწმებას მოახდენენ რესპუბლიკური, საოლქო ან ცენტრალური საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში) საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების მიღების უფლების სამედიცინო ჩვენებებისა და მათი ტარების საწინააღმდეგო ჩვენებების ნუსხების შესაბამისად.

8. ინვალიდთა სამედიცინო შემოწმება მოეწყობა სამედიცინო დოკუმენტების შესწავლისა და პირადი გასინჯვის საფუძველზე. იმ შემთხვევებში, როცა ინვალიდები საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში გაგზავნილი არიან დაუსაბუთებელი დიაგნოზით, რაც აძნელებს საექსპერტო გადაწყვეტილების გამოტანას, კომისია ინვალიდებს აგზავნის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში დამატებითი გამოკვლევისათვის.

9. საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში ინვალიდთა შემოწმებისას შედგება შემოწმების აქტი ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოეტლის მიღების სამედიცინო ჩვენებების განსაზღვრის შესახებ (დანართი № 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტები ყველა სამედიცინო დოკუმენტითურთ ინახება იმ საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში, სადაც მოეწყო შემოწმება.

10. შემოწმების აქტის ამონაწერი (დანართი № 2) მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან მიღებულ დოკუმენტებთან ერთად (გარდა საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში გაგზავნისა — ფ. 88) გაეგზავნებათ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს.

სატრანსპორტო საშუალებათა მიღების უფლების სამედიცინო ჩვენებების დადგენისას და მათი ტარების საწინააღმდეგო ჩვენებების არარსებობისას ინვალიდებს სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებში წარსადგენად მიეცემათ ცნობა (დანართი № 2) ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოეტლის მართვის უფლების მოწმობის მისაღებად.

11. თუ შემოწმების პროცესში საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია გამოიტანს დასკვნას ხელით სამართავი ავტომობილისა და მოტოეტლის მიღების უფლების სამედიცინო ჩვენებების არარსებობის ან მათი ტარების საწინააღმდეგო ჩვენებების არსებობის შესახებ, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე განუმარტავს ინვალიდს (წერილობით) მიღებულ გადაწყვეტილებას და ამის შესახებ ასლით აცნობებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას ინვალიდის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

12. ამ ინსტრუქციის მე-17 პუნქტის თანახმად ოჯახის წევრისათვის მართვის უფლების გადაცემით ავტომობილების მისაღებად სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდთა შემოწმებისას საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია, მანქანის ტარების სამედიცინო ჩვენებებისა და საწინააღმდეგო ჩვენებების გარდა, განსაზღვრავს იმასაც, შეუძლია თუ არა ინვალიდს ისარგებლოს ავტომობილით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ზიანის მიუყენებლად.

დასკვნას იმის შესახებ, რომ ინვალიდის ოჯახის წევრს არა აქვს ავტომობილის ტარების საწინააღმდეგო ჩვენებები, გასცემენ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები.

13. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნა ხელით სამართავი ავტომობილების ან მოტოეტლების ტარების სამედიცინო ჩვენებების არსებობისა და საწინააღმდეგო ჩვენებების არარსებობის შესახებ ძალაშია 2 წლის მანძილზე მისი გამოტანის დღიდან. ინვალიდთა ხელახლა შემოწმება ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების გამოცვლის საკითხის გადასაწყვეტად ხდება მათი ექსპლუატაციის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ.

ინვალიდთა პერიოდულ ხელახალ შემოწმებას იმის დასადგენად, რომ არა აქვთ ხელით სამართავი ავტომობილებისა და მოტოეტლების ტარების საწინააღმდეგო ჩვენებები, მოახდენენ სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესე-

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულებები სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ [illegible] ზღვრული წესის შესაბამისად.

III. ინვალიდთა უზრუნველყოფა ხელით სამართავი ავტომობილებით

14. ხელით სამართავი „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილები მიეცემათ უფასოდ ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოციკლის მიღების უფლების სამედიცინო ჩვენებების არსებობისას და ავტოტრანსპორტის ტარების საწინააღმდეგო ჩვენებების არარსებობისას სამამულო ომის ინვალიდებს, მათ შორის ინვალიდებს სამამულო ომის პარტიზანთა რიცხვიდან და შესაბამისი კატეგორიების მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სამამულო ომის პერიოდში საომარი მოქმედების რაიონში, ფრონტისპირა რკინიგზათა უბნებზე, თავდაცვითი ზღუდეების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების მშენებლობაზე მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების ან დაავადების გამო, და სსრ კავშირის მთავრობის სპეციალური დადგენილებებისა და განკარგულებების თანახმად საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ გათანაბრებული არიან სამხედრო მოსამსახურეებთან, აგრეთვე ინვალიდებს:

— სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად, და სამოქალაქო ომის პარტიზანთა რიცხვიდან;

— სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების უფროსთა და რიგითი შემადგენლობის იმ პირთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

— 1944 წლის 1 იანვრიდან უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ ტერიტორიაზე მოქმედი გამანადგურებელი ათასეულების, ოცეულებისა და ხალხის დამცველი რაზმების იმ მებრძოლთა და მეთაურთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ ამ ათასეულებში, ოცეულებსა და რაზმებში სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

— იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებასთან დაუკავშირებელი უბედური შემთხვევის ან ფრონტზე ყოფნასთან დაუკავშირებელი დაავადების შედეგად.

შენიშვნა: პირებს იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებასთან დაუკავშირებელი უბედური შემთხვევის ან ფრონტზე ყოფნასთან დაუკავშირებელი დაავადების შედეგად, „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილები უფასოდ მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ სამედიცინო ჩვენებები სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით დამტკიცებული 1969 წლის 1-8 ივლისის ნუსხის თანახმად.

15. ხელით სამართავ „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილებს ინვალიდებს უფასოდ მისცემენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები ექსპლუატაციის შვიდი წლის ვადით გაყიდვისა და სხვა პირთათვის გადაცემის უფლების გარეშე.

ექსპლუატაციის ვადის გასვლის შემდეგ უფასოდ გაცემული „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილები უნდა გასაღდეს დადგენილი წესით.

16. თუ უფასოდ მიღებული ხელით სამართავი „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილების ექსპლუატაციის პროცესში ინვალიდებს გამოუვლინდებათ მათი ტარების საწინააღმდეგო ჩვენებები, ავტომობილის მართვის უფლების გადაცემის საკითხს განიხილავენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნებას დართავენ გაფორმდეს სხვა პირზე ავტომობილის მართვის მინდობილობა.

17. ამ ინსტრუქციის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ პირველი ჯგუფის ინვალიდებს (შენიშვნაში აღნიშნულ პირთა გარდა), რომლებსაც აქვთ ხელით სამართავი ავტომობილების ან მოტოციკლების მიღების უფლების სამედიცინო ჩვენებები და ავტომობილის მართვის საწინააღმდეგო ჩვენებები, „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილებს უფასოდ მისცემენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, თუ ინვალიდის მომსახურებისათვის ავტომობილის მართვა შეუძლია მასთან მუდმივად მცხოვრებ ოჯახის წევრს.

18. ხელით სამართავ ავტომობილებს ინვალიდებს (ინვალიდობის ჯგუფისა და მიზეზის მიუხედავად) მიჰყიდიან სავაჭრო ორგანიზაციები საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებების ნებართვით იმ პირობით, თუ მათ აქვთ ხელით სამართავი ავტომობილების ან მოტოციკლების მიღების სამედიცინო ჩვენება და არა აქვთ ავტოტრანსპორტის მართვის საწინააღმდეგო ჩვენება.

ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული ავტომობილები შეიძლება მიეყიდოთ ინვალიდებს, რომლებსაც საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დასკვნით

ქ. მარქსის ... ქ. სსრ
საბელმწიფო ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა აქვთ ხელით სამართავი ავტომობილების ან მოტოციკლების მიღების სამედიცინო ჩვენებები, მაგრამ დაზიანებული ან დაავადებული აქვთ ქვედა კიდურები, რაც აბრკოლებს ჩვეულებრივ სამართავი ავტომობილების ტარებას.

19. ხელით სამართავი ახალი ავტომობილების შეძენის ნებართვა ინვალიდებს მიეცემათ ადრე შეძენილი ავტომობილების ექსპლუატაციის შვიდი წლის ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში — მათი ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით — აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

IV. ინვალიდთა უზრუნველყოფა მოტოციკლებით

20. ამ ინსტრუქციის მე-14 პუნქტში ჩამოთვლილ ინვალიდებს უფლება აქვთ უფასოდ მიიღონ მოტოციკლები იმ პირობით, თუ მათ აქვთ აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა მიღების სამედიცინო ჩვენებები და არა აქვთ მათი ტარების საწინააღმდეგო ჩვენებები.

21. შეღავათიან პირობებში მოტოციკლები მიეცემათ შრომითი დასახიჩრების გამო ინვალიდებს (იმ პირთა გარდა, რომელთაც უფლება აქვთ აინაზღაურონ ზარალი საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულებისაგან), საერთო დაავადების გამო ინვალიდებსა და ბავშვობიდან ინვალიდებს.

აღნიშნულ ინვალიდებს მოტოციკლებს უფასოდ მისცემენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ ან ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის ან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების სოციალური უზრუნველყოფის სახსრების ხარჯზე.

22. ინვალიდებს მოტოციკლები მიეცემათ ექსპლუატაციის ხუთი წლის ვადით გაყიდვისა და სხვა პირთათვის გადაცემის უფლების გარეშე.

ამ ინსტრუქციის მე-14 პუნქტში ჩამოთვლილ ინვალიდებს, რომლებმაც უფასოდ მიიღეს მოტოციკლები, შეუძლიათ მათ ნაცვლად მიიღონ „ზაპოროჟეცის“ მარკის ავტომობილები მხოლოდ მოტოციკლების ექსპლუატაციის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ.

23. ამ ინსტრუქციის მე-14 პუნქტში ჩამოთვლილი ინვალიდებისათვის უფასოდ მიცემული მოტოციკლების კაპიტალური რემონტი ჩატარდება ერთხელ ხუთი წლის ვადის განმავლობაში მათი გაცემის დღიდან იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებში სოციალური უზრუნველყოფისათვის.

24. ექსპლუატაციის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ მოტოციკლები უნდა გასაღდეს დადგენილი წესით

ეროვნული ბიბლიოთეკა

V. სატრანსპორტო საშუალებათა მიცემის გაფორმებისა და მათი აღრიცხვის წესი

25. განცხადებას სატრანსპორტო საშუალებათა მიცემის შესახებ (დანართი № 3) მიიღებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება ინვალიდის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, და უნდა გატარდეს რეგისტრაციაში საღრიცხვო ჟურნალში (დანართი № 4).

განყოფილება მისცემს ინვალიდს მიმართვას სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში სამედიცინო გამოკვლევისათვის და საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაზე გაგზავნის გასაფორმებლად (ფ. 88), სადაც აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი ქირურგის, თერაპევტის, ნევროპათოლოგის, ფსიქიატრის, ოკულისტის, ოტორინოლარინგოლოგის მიერ გამოკვლევის მონაცემები.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან მიღებული მიმართვა საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაზე გასაფორმებლად (ფ. 88), ინვალიდის განცხადებასთან და ნოტარიუსის ან განყოფილების გამგის მიერ დამოწმებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის ცხობის ასლთან ერთად ინვალიდობის ჯგუფისა და მიზეზის შესახებ (ხოლო შრომითი დასახიჩრების, საერთო დაავადების გამო ან ბავშვობიდან ინვალიდებისათვის, რომლებსაც სურთ უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მიიღონ მოტოეტლი, — მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის აქტთან ერთად), 5 დღემდე ვადაში გაეგზავნებათ განსახილველად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებს.

26. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები დოკუმენტების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიისა და საზოგადოებრივი კომისიის დასკვნების გათვალისწინებით გამოიტანენ თავიანთ გადაწყვეტილებას და ამის შესახებ წერილობით აცნობებენ განმცხადებელს და ასლით — დოკუმენტების გამგზავნ განყოფილებას.

27. იმ ინვალიდებს, რომლებსაც ესაჭიროებათ ხელით სამართავი ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა, აღრიცხავენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები სპეციალურ საალრიცხვო ჟურნალებში (დანართი № 5) ცალ-ცალკე სატრანსპორტო საშუალებათა სახეობების და მათი გაცემის პირობების მიხედვით.

28. აღრიცხვაზე აყვანილ თითოეულ ინვალიდზე შედგება საალრიცხვო საქმე სატრანსპორტო საშუალებათა მისაღებად (დანართი № 6), რომელშიც შედის ინვალიდის განცხადება, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის ცნობის ასლი ინვალიდობის ჯგუფისა და მიზეზის შესახებ, დამოწმებული ნოტარიუსის ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის მიერ, შესაბამისი საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის შემოწმების აქტის ამონაწერი, შრომითი დასახიჩრების, საერთო დაავადების გამო ან ბავშვობიდან ინვალიდების (რომლებსაც სურთ უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მიიღონ მოტოეტლი) მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის აქტი, აგრეთვე საზოგადოებრივი კომისიის გადაწყვეტილების ამონაწერი ტრანსპორტის მიღების რიგითობის შესახებ (ხოლო შრომითი დასახიჩრების, საერთო დაავადების გამო ან ბავშვობიდან ინვალიდებისათვის — დასკვნა შეღავათიან პირობებში ან უფასოდ მოტოეტლის მიცემის შესახებ).

შრომითი დასახიჩრების, საერთო დაავადების გამო ან ბავშვობიდან ინვალიდის საალრიცხვო საქმეში, რომელიც უფასოდ იღებს მოტოეტლს, ჩაიკერება საქართველოს სსრ ან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილების ამონაწერი მისთვის მოტოეტლის უფასოდ მიცემის შესახებ.

29. შეტყობინება (დანართი № 7) ინვალიდისათვის ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოეტლის მიცემის შესახებ გაეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას ინვალიდის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან პენსიებისა და დახმარების დარიცხვისა და გაცემის ცენტრს, რათა თან დაურთონ საპენსიო საქმეს.

30. იმ ინვალიდთა გარდაცვალების შემთხვევაში, რომლებმაც ხელით სამართავი ავტომობილები ან მოტოეტლები უფასოდ მიიღეს, ეს ავტომობილები და მოტოეტლები დარჩება მათი ოჯახების საკუთრებად და მოიხსნება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოთა აღრიცხვიდან.

ოჯახის ერთ-ერთ წევრზე ავტომობილის ან მოტოეტლის ხელახალ რეგისტრაციას აწარმოებენ სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოები სოციალური უზრუნველყოფის იმ ორგანოების ნებართვით, რომელთა აღრიცხვაზეც იმყოფებოდნენ ინვალიდები როგორც ტრანსპორტის მფლობელნი.

დავას საერთო საკუთრებაში წილის შესახებ გადაწყვეტენ სასამართლო ორგანოები ოჯახის ნებისმიერი წევრის სარჩელის მიხედვით.

31. ინვალიდების მიერ უფასოდ მიღებული მათი გარდაცვალების შემდეგ ოჯახის საკუთრებაში დარჩენილი ავტომობილების ან მოტოეტლების გაყიდვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუქება, ანდერძით დატოვება და სხვ. ხორციელდება კანონით დადგენილი წესის შეესაბამისად.

ავტომობილების ან მოტოციკლების რეალიზაციისათვის სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების ნებართვა საჭირო არ არის.

32. თუ გარდაცვლილ ინვალიდებს, რომლებმაც უფასოდ მიიღეს ავტომობილები ან მოტოციკლები, ოჯახი არა ჰყავთ, ამ ავტომობილებს და მოტოციკლებს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ჩამოართმევენ სარეალიზაციოდ დადგენილი წესით.

33. ნაღდ ანგარიშზე შეძენილი ხელით სამართავი ავტომობილები და მოტოციკლები, ფასდაკლებით შეღავათიან პირობებში შეძენილი ავტომობილები და მოტოციკლები ინვალიდთა გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებს დარჩებათ კანონით დადგენილი წესით.

34. ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოციკლის შემძენ ინვალიდთა სააღრიცხვო საქმეები მუდმივად უნდა ინახებოდეს სოციალური უზრუნველყოფის იმ ორგანოში, რომელმაც სატრანსპორტო საშუალება გასცა. ინვალიდთა გარდაცვალების შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებათა მისაღებად ინვალიდთა სააღრიცხვო საქმეები ჩაბარდება არქივს და უნდა ინახებოდეს ხუთი წლის განმავლობაში.

35. დოკუმენტების განზრახ არასწორად გაფორმებისა და ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოციკლის უკანონოდ მიცემისათვის დამნაშავეებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქციის დანართი № 1

სოციალური უზრუნველყოფის
სამინისტრო

(რესპუბლიკის დასახელება)

საეჭიმო-ზრომითი საექსპერტო
კომისია

(რესპუბლიკის, მხარის, ოლქის,
ქალაქის)

აქტი შემოწმებისა

ხელით სამართავი ავტომობილის ან
მოტოციკლის მიღების სამედიცინო
ჩვენებების და მათი ტარების
ვარგისიანობის განსაზღვრისათვის

19—— წლის „ “ ——

ფოტოსურათის
ადგილი

გვარი, სახელი, მამის სახელი ——

——

საცხოვრებელი ადგილის მისამართი ——

——

დაბადების წელი ——

ინვალიდობის ჯგუფი ——

ინვალიდობის მიზეზი ——

——

დაავადების დიაგნოზი ——

——

მოწმდება პირველად, განმეორებით (ხაზი გაესვას)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის დასკვნა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით 19— წლის „ “ ——— დამტკიცებული სამედიცინო ჩვენებების ნუსხის თანახმად უფლება აქვს მიიღოს ——————————— აღნიშნული ნუსხის ——— პუნქტის მიხედვით

ვარგისია ———————————————————————

(აღინიშნოს ხელით სამართავი ავტომობილის თუ მხოლოდ მოტოეტლისა)

მართვისათვის

საექიმო-შრომითი საექსპერტო
კომისიის თავმჯდომარე

———————————

(ხელმოწერა)

წევრები:

(ბეჭდის ადგილი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

თარიღი	დაწვრილებითი ობიექტური მონაცემები (შეივსება სპეციალისტების მიერ) რენტგენოლოგიური, ლაბორატორიული და სხვა გამოკვლევები თან დაერთვის აქტს		ექიმის ხელმოწერა
	ქირურგი		
	თერაპევტი		
	ნევროპათოლოგი		
	ფსიქიატრი		
	ოტორინოლარინგოლოგი		
	ოკულისტი		

დიაგნოზი: _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქციის დანართი № 2

მოქმედების ვადა — 2 წელი

სოციალური უზრუნველყოფის
სამინისტრო

(რესპუბლიკის დასახელება)

საექიმო-შრომითი საექსპერტო
კომისია

(რესპუბლიკის, მხარის, ოლქის,
ქალაქის)

ცნობა

შემოწმების აქტისათვის

№ _____

გვარი, სახელი, მამის სახელი _____

_____

საცხოვრებელი ადგილის მისამართი _____

_____

დაბადების წელი _____

ინვალიდობის ჯგუფი _____

_____

ინვალიდობის მიზეზი _____

_____

მემოწმდა საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში 19— წლის „ “_____

შემოწმების შედეგად ცნობილ იქნა ვარგისად _____
(აღინიშნოს ხელით სამართავი ავტომობილის თუ მხოლოდ მოტოეტლისა)

მართვისათვის.

საექიმო-შრომითი საექსპერტო
კომისიის თავმჯდომარე

_____
(ხელმოწერა)

ამონაწერი საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში შემოწმების აქტიდან

შემოწმების აქტისათვის № _____

ეგზავნება მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო ან საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში) საბჭოს აღმასკომის

სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას _____
(რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის)

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ

გვარი, სახელი, მამის სახელი _____ _____

დაბადების წელი _____

საცხოვრებელი ადგილის მისამართი _____

ინვალიდობის ჯგუფი _____
(სიტყვებით)

ინვალიდობის მიზეზი _____
(სიტყვებით)

გაიარა შემოწმება სატრანსპორტო საშუალებათა მისაღებად

19 —— წლის „ “ _____

ამონაწერის მოქმედების ვადა — 2 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

დ ი ა გ ნ ო ზ ი

_____

_____

_____

_____

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით 19— წლის „ “ _____ დამტკიცებული სამედიცინო ჩვენებების ნუსხის თანახმად უფლება აქვს მიიღოს _____ აღნიშნული ნუსხის _____ პუნქტის მიხედვით

ვარგისია _____ მართვისათვის-

(აღინიშნოს ხელით სამართავი ავტომობილის თუ მხოლოდ მოტოეტლისა)

საექიმო-შრომითი საექსპერტო
კომისიის თავმჯდომარე

_____

(ხელმოწერა)

წევრები:

(ბეჭდის ადგილი)

№ 2
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქციის დანართი № 3

_____

(რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის)

_____ რაიონის (ქალაქის) სოციალური

_____

(აღინიშნოს ინვალიდობის კატეგორია)

უზრუნველყოფის განყოფილებას

ინვალიდ _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ უზრუნველმყოთ _____

_____

_____

(აღინიშნოს ხელით სამართავი ავტომობილით თუ მოტოეტლით, აგრეთვე აღნიშნული ტრანსპორტით უზრუნველყოფის პირობები)

მე განმემარტა, რომ მოქმედი დებულების შესაბამისად შემიძლია მქონდეს მხოლოდ ერთი სახეობის სატრანსპორტო საშუალება — ხელით სამართავი ავტომობილი ან მოტოეტლი.

გაცნობებთ, რომ მე _____

_____

_____

(აღინიშნოს, აქვს თუ არა სარგებლობაში სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მეშვეობით მიღებული სატრანსპორტო საშუალება)

_____

(ხელმოწერა)

19 —— წლის „ “ _____

განცხადება რეგისტრირებულია 19 —— წლის „ “ _____

სააღრიცხვო ჟურნალში № _____

სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (საქალაქო) განყოფილების ინსპექტორი

_____

(ხელმოწერა)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქციის დანართი № 4

ჟ ურ ნ ა ლ ი

ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოციკლის მისაღებად ინვალიდთა განცხადებების რეგისტრაციისა ——————— სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებაში

განცხადების შეტანის თარიღი	გვარი, სახელი, მამის სახელი	საცხოვრებელი ადგილის მისამართი	ინვალიდობის ჯგუფი და მიზეზი, სპენსია №-მის №	სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში გაგზავნის თარიღი	სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან საექიმო-შრომითს საექსპერტო კომისიაში მიმართვის (ფ. 88) შემოსვლის თარიღი	სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, სოციალური უზრუნველყოფის სამხარეო (საოლქო) განყოფილებაში დოკუმენტების გაგზავნის თარიღი	ალნიშვნა ტრანსპორტის მიღების ან უარის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქციის დანართი № 5

ჟ ურ ნ ა ლ ი

ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოციკლის მისაღებად ინვალიდთა აღრიცხვისა

გვარი, სახელი, მამის სახელი	საცხოვრებელი ადგილის მისამართი	ინვალიდობის ჯგუფი და მიზეზი	სოციალური უზრუნველყოფის რაიონული (სოფლის) განყოფილებიდან დოკუმენტების შემოსვლის თარიღი	ინიშნა სატრანსპორტო საშუალების გაცემის შესახებ ბრძანების შესახებ	სატრანსპორტო საშუალების გაცემის თარიღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

_____

_____

_____

საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, ავტონომიური ოლქის ან ქალაქის (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება

საქმე № _____

ინვალიდისა ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოეტლის მისაღებად

(საჭიროს ხაზი გაესვას)

გვარი, სახელი, მამის სახელი _____

_____

საცხოვრებელი ადგილის მისამართი _____

_____

19 ——— წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქციის დანართი № 7

შეტყობინება

ხელით სამართავი ავტომობილის ან მოტოციკლის მიცემის შესახებ
(საჭიროს ხაზი გაესვას)

1. გვარი, სახელი, მამის სახელი _____

2. დაბადების წელი _____

3. საცხოვრებელი ადგილის მისამართი _____

_____

4. მიღებული პენსიის სახეობა _____

5. სატრანსპორტო საშუალების მიცემის თარიღი და მისი სახეობა _____

_____

6. ტრანსპორტის მიცემის პირობები _____

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:

ეს შეტყობინება ჩაიკერება საპენსიო საქმეში და აღინიშნება პირად ანგარიშში

29 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული საკავშირო, რეს. კუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე საგზურებისა და საკურსეების უქონლად სამკურნალოდ ან დასასვენებლად ჩამოსული მოქალაქეებისაგან საკურორტო გამოსაღების გადახდევინებისა და მისი ხარჯვის საქმეში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 ივნისის № 396 დადგენილების პირველი პუნქტის მეორე აბზაცი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკურორტო ადგილებში, სადაც არის საბინაო-საშუამავლო ბიუროები, დაეკისროს ამ ბიუროებს საგზურებისა და საკურსეების უქონლად ჩამოსულ მოქალაქეთა სრულყოფილი რეგისტრაცია, მათგან საკურორტო გამოსაღების გადახდევინება და სათანადო ქვითრის გაცემა, რისთვისაც ამ ბიუროების მიერ ქვითრებით აკრეფილი საკურორტო გამოსაღების 10 პროცენტი რჩება მათსავე განკარგულებაში.

საკურორტო ადგილებში, სადაც არ არის საბინაო-საშუამავლო ბიუროები, დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს საგზურებისა და საკურსეების უქონლად ჩამოსულ მოქალაქეთა სრულყოფილი რეგისტრაცია, მათგან საკურორტო გამოსაღების გადახდევინება და სათანადო ქვითრის გაცემა“.

2. საკურორტო გამოსაღების გადახდევინება მოხდეს საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე (ბორჯომი, გაგრა, ქობულეთი, ბიჭვინთა, ახალი ათონი და წყალტუბო), აგრეთვე იმ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე, რომლებიც მოხსენებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 29 იანვრის № 53 დადგენილებით დამტკიცებულ № 1 და № 2 დანართებში, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 15 თებერვლის № 43 დადგენილების № 1 დანართსა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 5 აგვისტოს № 231 განკარგულებაში.

3. დადგინდეს, რომ საკურორტო გამოსაღების სახსრები (საბინაო-საშუამავლო ბიუროების განკარგულებაში დატოვებული 10 პროცენტის გარდა) გადადის მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განკარგულებაში, რომლებიც მას გამოიყენებენ საკურორტო და საგარაკო ზონის, პლაჟებისა და საერთო სარგებლობის სხვა ადგილების კეთილმოწყობისათვის, საზაფხულო ტიპის სასტუმროებისა და ნაგებობების მშენებლობისათვის, ავტომობილების სადგომების მშენებლობისა და მოწყობილობის შეძენისათვის, აგრეთვე ამ ადგილების სათანადო სანიტარიული მდგომარეობის დაცვის სამუშაოებისათვის.

აეკრძალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს საკურორტო გამოსაღების სახსრების ხარჯვა სხვა მიზნებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 ივლისის № 464 დადგენილების მე-7 პუნქტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 15 ივნისის № 396 დადგენილების პირველი პუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 4 აპრილი, № 221.

30 რესპუბლიკის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების იმ წყლის ობიექტების (ან მათი ნაწილების) ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებითაც სარგებლობა ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვას ექვემდებარება

„საქართველოს სსრ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების წყლის ობიექტებით სარგებლობის ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 31 ივლისის № 538 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს რესპუბლიკის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების იმ წყლის ობიექტების (ან მათი ნაწილების) ნუსხა, რომლებითაც სარგებლობა ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვას ექვემდებარება, დანართის თანახმად.

2. ნუსხაში აღნიშნული წყლის ობიექტების დაცვა დაეკისროთ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, რომელიც განსაზღვრავს წყლის ობიექტებით სარგებლობის რეჟიმს (მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალვას).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე შ. კიკნაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1977 წ. 8 აპრილი, № 232.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 8 აპრილის № 232 დადგენილების დანართი № 2

ნუსხა

რესპუბლიკის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულების იმ წყლის ობიექტებისა (ან მათი ნაწილებისა), რომლებითაც სარგებლობა ნაწილობრივ ან მთლიანად აკრძალვას ექვემდებარება

წყლის ობიექტების დასახელება	წყლის ობიექტების ადგილსამყოფელი	ექვემდებარება აკრძალვას (ნაწილობრივ ან მთლიანად)
1. მდინარე ბზიფი	აფხაზეთის ასსრ, ქ. გაგრა და გუდაუთის რაიონი	ნაწილობრივ
2. მდინარე რიონი (ვარციხეს კაშხალის ქვემოთ)	ქ. წყალტუბო, ვანის, სამტრედიის, აბაშის, ცხაკაიას, ხობის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონები, ქ. ფოთი	ნაწილობრივ
3. მდინარე კოდორი	აფხაზეთის ასსრ, ოჩამჩირის რაიონი	ნაწილობრივ
4. მდინარე შავწყალა	აფხაზეთის ასსრ, გუდაუთის რაიონი	ნაწილობრივ
5. მდინარე თერგი	ყაზბეგის რაიონი	მთლიანად
6. მდინარე არგუნის სათავე	დუშეთის რაიონი	მთლიანად
7. მდინარე ტანის სათავე (გოგირდოვანი მინერალური წყლებით)	გორის რაიონი	მთლიანად
8. რიწის ტბა	აფხაზეთის ასსრ, ქ. გაგრა	ნაწილობრივ
9. ცისფერი ტბა	აფხაზეთის ასსრ, ქ. გაგრა	მთლიანად
10. ამტყელის ტბა	აფხაზეთის ასსრ, გულრიფშის რაიონი	მთლიანად
11. ტაბაწყურის ტბა	ბორჯომის რაიონი	ნაწილობრივ
12. პალიასტომის ტბა	ქ. ფოთი	ნაწილობრივ
13. ყელის ტბა	ლენინგორის რაიონი	მთლიანად
14. ბატეთის ტბა	ქარელის რაიონი	მთლიანად
15. ფარავნის ტბა	ბოგდანოვკის რაიონი	ნაწილობრივ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 იურიდიული კადრებით სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 23 დეკემბრის № 1025 დადგენილების და ამის შესაბამისად მიღებული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 მარტის № 149 დადგენილების, აგრეთვე სხვა დადგენილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განახორციელეს ერთგვარი მუშაობა, რამაც დადებითად იმოქმედა სამართლებრივი მუშაობის დონის ამაღლებაზე.

კვალიფიციური კადრებით სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა ღონისძიებანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სასამართლო-საგამომძიებლო, სახელმწიფო სამართლისა და სამეურნეო სამართლის სპეციალობებში კადრების მოსამზადებლად, რის გამოც სამართლისმცოდნეობის სპეციალობით მისაღები კონტინგენტი მთლიანად 1971 წლიდან 1976 წლამდე გადიდდა 175 კაცამდე, მათ შორის დღის სწავლების ხაზით 75 კაცი, ნაცვლად 1970 წლის — შესაბამისად — 115 და 25 კაცისა.

მაგრამ სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების მიღწეული დონე ვერ უზრუნველყოფს სამინისტროების, უწყებების, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებას.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 თებერვლის № 76 დადგენილება „იმ თანამდებობათა ნომენკლატურის გაფართოების შესახებ, რომლებიც უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებს უნდა ეკავოთ“, რომელიც ავალებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს აღმასკომების მდივნებისა და საერთო, შინაგან საქმეთა, საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, სოციალური უზრუნველყოფის, საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილებების, აგრეთვე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერი ბიუროების, ისევე როგორც იურიდიული განყოფილებების გამგეთა თანამდებობების განთავისუფლებისას მათ დასაკავებლად დააწინაურონ, როგორც წესი, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირნი.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები ვერ უზრუნველყოფენ პარტიისა და მთავრობის იმ დადგენილებათა შესრულებას, რომლებიც მიზნად ისახავენ სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობაში და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში, არ იღებენ ზომებს იურიდიული სამსახურის ქვედანაყოფთა ქსელის შექმნისა და გაფართოებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი მდგომარეობის შედეგად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეკონომიკურ-ფინანსურ-ეკონომიკურ-ფინანსურ-ეკონომიკურ-ფინანსურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

32 სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად განვითარდა სახელმწიფო ქონებრივი და პირადი დაზღვევა. მეცხრე ხუთწლედში შემოსულმა გადასახდელების თანხამ 278 მილიონ მანეთს მიაღწია, რაც გეგმით გათვალისწინებულს 20 მილიონი მანეთით აღემატება.

მარტო მოსახლეობისაგან შემოსულმა ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელებმა 95,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა, რაც 3,5-ჯერ აღემატება მერვე ხუთწლედის შესაბამის მაჩვენებელს, ამასთან ერთად ნებაყოფლობითი დაზღვევის ხელშეკრულებათა რაოდენობამ 1977 წლის 1 იანვრისათვის 1,7 მილიონს მიაღწია, მაშინ როცა მეცხრე ხუთწლედის დამდეგისათვის 200 ათასს უდრიდა.

განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა მოსახლეობაში პირადი დაზღვევა, რომელშიც მუშა-მოსამსახურეებისა და შრომისუნარიან კოლმეურნეთა ნახევარზე მეტია ჩაბმული. ასევე სწრაფად ვითარდება მოსახლეობის ქონების სხვა სახეობების ნებაყოფლობითი დაზღვევაც.

სახელმწიფო დაზღვევის განვითარების კვალობაზე წლითიწლობით სულ უფრო ეფექტიანი ხდება სტიქიური მოვლენებისა და უბედური შემთხვევებისაგან დაზარალებული კოლმეურნეობებისა და მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა, ამ მიმართულებით მარტო 1976 წელს დაზღვევის საზღაურისა და სადაზღვევო თანხების სახით 44 მილიონ მანეთზე მეტია გაცემული.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება სახელმწიფო დაზღვევის სახსრებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ცხოველებისა და სხვა ქონების ზარალის სალიკვიდაციოდ. გაუმჯობესდა დასაზღვევთა მომსახურების კულტურა, გაძლიერდა სახელმწიფო სახსრების ხარჯვისადმი კონტროლი.

ამასთან ერთად რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანიც. ბევრ ქალაქსა და რაიონში არადამაკმაყოფილებლად იყენებენ დაზღვევის განვითარების არსებულ რეზერვებს.

უმეტეს სახეობათა ნებაყოფლობითი დაზღვევის განვითარების დონე რესპუბლიკაში ჩამორჩება შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. რესპუბლიკაში ყოველ ათას მცხოვრებზე პირადი დაზღვევის 212 ხელშეკრულებაა დადებული, საკავშირო მაჩვენებელი კი 277 შეადგენს. საშუალო საკავშირო მაჩვენებელს რესპუბლიკა ჩამორჩება სიცოცხლის დაზღვევაში — 2,9-ჯერ, ცხოველების დაზღვევაში — 3-ჯერ, შენობების დაზღვევაში — 1,8-ჯერ და საოჯახო ქონების დაზღვევაში — 1,3-ჯერ.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები არ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს სასოფლო, სადაბო საბჭოებისა და ვეტერინარული სამსახურის ორგანოების მიერ პირუტყვის დაავადებისა და დაღუპვის მიზეზების შესწავლის, საჭირო დოკუმენტაციის დროულად შედგენისა და სახდაზღვევის ორგანოებში მისი გადაგზავნის უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურის ადგილობრივი ორგანოები, აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზოგიერთი დაწესებულება ხშირად არღვევენ დადგენილ წესს და დაგვიანებით გადასცემენ სახდაზღვევის ორგანოებს ძოქალაქეთა პირადი და ქონების დაზღვევის საკითხებთან დაკავშირებულ მასალებს.

რესპუბლიკაში შექმნილი არ არის სახელმწიფო დაზღვევის პოპულარიზაციისა და გახვითარებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ქაღალდის უკმარისობის გამო საკმაო რაოდენობით არ გამოდის სარეკლამო მასალები, ბუკლეტები, პლაკატები, არ არის გამოყენებული თვალსაჩინო აგიტაციის სხვა საშუალებები. სახდაზღვევის ბევრი ორგანო არ არის უზრუნველყოფილი სატრანსპორტო საშუალებებითა და შესაბამისი სამსახურებრივი სადგომებით.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს სახელმწიფო დაზღვევას როგორც საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას.

„სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 თებერვლის № 111 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკაში სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი გახვითარების უზრუნველსაყოფად, პირადი და ქონების დაზღვევის სახეობათა გასაფართოებლად, დაზღვევის ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, მშრომელთა მომსახურების კულტურის დონის ასამაღლებლად და სახდაზღვევის სისტემაში სამეურნეო ანგარიშის განსამტკიცებლად.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გააძლიერონ ყურადღება სახელმწიფო დაზღვევის განვითარების საკითხებისადმი, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სახდაზღვევის ორგანოებს, ძირეულად გააუმჯობესონ მათი მუშაობა, მიიღონ ზომები დაზღვევაში მშრომელთა მაქსიმალურად ჩაბმისათვის, დაზღვევის გადასახდელთა შემოსვლის დაწესებული გეგმების რიტმულად შესრულებისათვის, დასაზღვევი ქონების სრულად აღრიცხვისა და დაზღვევის საზღაურისა და სადაზღვევო თანხების განსაზღვრა-გაცემის საქმის გაუმჯობესებისათვის, უზრუნველყონ ეს ორგანოები სამსახურებრივი სადგომებით.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ (ამხ. რ. ბასარია) უზრუნველყოს საქვეუწყებო გამოთვლითი ცენტრების საშუალებით დაზღვევის ინფორმაციის მიღება და დროულად დამუშავება სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა რესპუბლიკის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის ფარგლებში ყოველწლიურად გაითვალისწინოს შესაბამისი ლიმიტები სახელმწიფო დაზღვევის ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოების სამსახურებრივი სადგომების მშენებლობისათვის სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე, ყოველწლიურად გამოუყოს სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ქაღალდი.

5. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ (ამხ. კ. კეთილაძე) ავტოტრანსპორტის ტექნიკური შემოწმების ჩატარების პერიოდში დახმარება აღმოუჩინოს სახდაზღვევის ორგანოებს პირადი საკუთრების სატრანსპორტო საშუალებათა ნებაყოფლობითი დაზღვევის საქმეში.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ პროკურატურამ ძიღონ ზომები, რათა მათ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოები შეუფერხებლად უგზავნიდნენ სახდაზღვევის ორგანოებს სადაზღვევო შემთხვევებთან დაკავშირებულ საქმეებზე მოთხოვნილ სრულფასოვნად შედგენილ დოკუმენტებს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. გ. ენუქიძე) პერიოდულად მოაწყოს სახელმწიფო დაზღვევის საკითხებზე თემატიკური ტელეფილმების ჩვენება და რადიოსიუჟეტების გადაცემა.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. ა. ჩიკვაიძე) უზრუნველყოს საქართველოს სსრ სახდაზღვევის მთავარი სამმართველოს შეკვეთით სახელმწიფო დაზღვევის საკითხებზე პლაკატების, ბუკლეტებისა და სხვა თვალსაჩინო მასალების ძასობრივი ტირაჟით გამოცემა.

9. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს:

— დარგობრივი რესპუბლიკური და ადგილობრივი (საფაბრიკო, საქარხნო) პროფკავშირული კომიტეტების საშუალებით დახმარება აღმოუჩინოს სახდაზღვევის ორგანოებს პირად და ქონების დაზღვევაში მშრომელთა მაქსიმალურად ჩაბმისათვის;

— სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობაზე მშრომელთა კოლექტივებში განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად სახდაზღვევის ორგანოების მონაწილეობით ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შექმნას სახდაზღვევის ხელშემწყობი საბჭოები პროფკავშირული აქტივის შემადგენლობიდან.

10. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ „სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 თებერვლის № 111 დადგენილებით:

— სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების სისტემაში იქმნება:

სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდი, რომელიც გათვალისწინებულია სადგომების ასაშენებლად, — საანგარიშო-გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციის საშუალებათა დასანერგად, მოწყობილობის, ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებათა შესაძენად და სახელმწიფო დაზღვევის ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად;

საბინაო მშენებლობისა და მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდი.

— დაწესებულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა მოგება (კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის ჭარბი შემოსავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის თანხების გარდა) განაწილდება შემდეგნაირად: ძოგების 80 პროცენტი — დაირიცხება მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტში, 5 პროცენტი — სათადარიგო ფონდში ყველა სახეობის დაზღვევის მიხედვით კოლმეურნეობათა ქონების სავალდებულო დაზღვევის გარდა, 7 პროცენტი — სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდში და 8 პროცენტი — საბინაო მშენებლობისა და მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდში;

— ნება დაერთოს სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს შექმნას სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ცენტრალიზებული ფონდი და საბინაო მშენებლობისა და მუშაკთა მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა შესაბამისი ფონდების თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

აღნიშნული ცენტრალიზებული ფონდების სახსრები გამოიყენება მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა შესაბამისი ფონდების შესავსებად იმ შემთხვევებში, როცა მოკავშირე რესპუბლიკის დაზღვევის ორგანოების მუშაობის ეკონომიკური მაჩვენებლები დროებით გაუარესდა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

მიღებულ იქნეს აგრეთვე ცნობად, რომ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მოგების განაწილების ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 17 აპრილის № 417 დადგენილების მე-5 პუნქტი, რომელმაც ცვლილება განიცადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის № 323 დადგენილებით, ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. აღნიშნული პუნქტით დაწესებულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში დაზღვევის ორგანოების სახსრები შედგება მიმდინარე შემოსავლისაგან, ძირითადი ფონდისაგან, ყველა სახეობის დაზღვევის მიხედვით სათადარიგო ფონდისაგან, გარდა კოლმეურნეობათა ქონების სავალდებულო დაზღვევისა კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევაში ჭარბი შემოსავლის თანხების 75 პროცენტისაგან, სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდის, საბინაო მშენებლობისა და მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდისა და სიცოცხლის დაზღვევის შესატანთა რეზერვისაგან.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები განსაზღვრავენ ძირითადი ფონდის ოდენობას და შემოსავალ-გასავლის გეგმებს სახელმწიფო დაზღვევის ოპერაციების მიხედვით.

11. დამტკიცდეს თანდართული ცვლილებანი, რომლებიც შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებში ამ დადგენილებით შემოღებულ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მოგების განაწილების ახალ წესთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 13 აპრილი, № 246.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 13 აპრილის № 246 დადგენილების დანართი

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილ უნდა იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებში სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მოგების განაწილების ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებით

1. „საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 იანვრის № 76 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-12 პუნქტს დაემატოს შემდეგი მიხაარსის „ე“ ქვეაუნქტი:

„ე. სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ცენტრალიზებულ ფონდში და საბინაო მშენებლობისა და მუშაკთა მატერიალური წახალისების ცენტრალიზებულ ფონდში სახსრების გადარიცხვა საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა ზემოაღნიშნული ფოხდების თანხის 10 პროცენტის ოდენობით“;

2. მე -13 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ. დადგენილი წესით სამუდამოდ მიიღოს სახსრები სახელმწიფო დაზღვევის გახვითარების ცენტრალიზებული ფონდიდან და საბიხაო მშენებლობიაა და მუშაკთა მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან, როცა საქართველოს სსრ დაზღვევის ორგანოთა ეკონომიკური მაჩვენებლები დროებით გაუარესდა მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“.

3. 25-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი მიხაარსის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები:

„ვ. სახელმწიფო დაზღვევის გახვითარების ფოხდი“;

„ზ. საბინაო მშენებლობისა და მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდი“;

4. 27-ე პუნქტის პირველი აბზაციდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „შეიქმნება მოგებათა ანარიცხებისაგან და“;

5. 27-ე პუნქტის მეორე აბზაცი ჩაითვალოს ძალადაკარგულად;

6. III ნაწილს დაემატოს შემდეგი შიხაარსის პუნქტი 28[1]:

„28[1]. სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდისა და საბინაო მშენებლობისა და მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები ინახება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებზე. აღნიშნული ფონდების სახსრები დაიხარჯება ამ ფონდების შექმნისა და ხარჯვის დებულების შესაბამისად, რომელსაც დაამტკიცებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ დაგეგვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი მეთოდების გამოყენების საკითხთა საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით“;

7. 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„29. სახელმწიფო დაზღვევის ოპერაციების (გარდა კოლმეურნეობის ქონების სავალდებულო დაზღვევის ოპერაციებისა) საერთო წლიური შედეგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის მიხედვით გამოანგარიშებული მოგება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ წლიური ანგარიშისა და ბალანსის დამტკიცების შემდეგ წარიმართება:

— 80 პროცენტი — საქართველოს სსრ ბიუჯეტში;

— 5 პროცენტი — სათადარიგო ფონდში ყველა სახეობის დაზღვევის მიხედვით (გარდა კოლმეურნეობების ქონების სავალდებულო დაზღვევისა);

— 7 პროცენტი — სახელმწიფო დაზღვევის განვითარების ფონდში;

— 8 პროცენტი — საბინაო მშენებლობისა და მუშაკთა მატერიალური წახალისების ფონდში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

33 საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 7 აგვისტოს № 430 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 15 აპრილი, № 254

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 15 აპრილის № 254
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისიის შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისია შექმნილია „ქალაქებში, სხვა დასახლებულ პუნქტებში და საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 26 იანვრის № 46 დადგენილების შესაბამისად.

2. კომისიის ძირითადი ამოცანაა კოორდინაცია გაუწიოს სამინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა საქმიანობას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დარგში, აგრეთვე შეიმუშაოს ღონისძიებანი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და დააწესოს კონტროლი მათი განხორციელებისადმი.

3. კომისიის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

შესაბამის კომისიებს შექმნიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი.

4. კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სხვა ნორმატიული აქტებით საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დარგში და ამ დებულებით.

5. საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკურ კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე.

6. კომისიის გადაწყვეტილებანი საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების დარგში სამინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა საქმიანობასთან დაკავშირებით სავალდებულოა ამ ორგანიზაციებისათვის.

7. მიმდინარე მუშაობის შესასრულებლად კომისიასთან იქმნება მუდმივმოქმედი ორგანო — კომისიის სამდივნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის ძირითადი ფუნქციები და უფლებები

საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისია ძირითადი ამოცანების შესაბამისად:

— შეიმუშავებს ღონისძიებებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მიიღებს ზომებს ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

— განიხილავს და გასცემს დასკვნებს სარკინიგზო გადასასვლელების გახსნისა და დახურვის, აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტზე გზახიდების მშენებლობის საკითხებზე და სატრანსპორტო კვანძების გახსნასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;

— განიხილავს სამინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა წინადადებებს ავტოტრანსპორტზე ავარიულობის თავიდან აცილების პრობლემებზე;

— შეიმუშავებს და წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ, რომლებიც საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ;

— დაავალებს სამინისტროებს, უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებს მოამზადონ საგზაო მოძრაობის ორგანიზაციასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკური და პრაქტიკული საკითხები კომისიის სხდომაზე განსახილველად, გამოითხოვს აღნიშნული ორგანიზაციებისაგან დოკუმენტებსა და ცნობებს, რაც საჭიროა კომისიის მიერ ამ საკითხების განსახილველად მომზადებისათვის;

— შეამოწმებს, თუ როგორ ასრულებენ სამინისტროები, უწყებები და სხვა ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების საკითხებზე, შეაფასებს ამ დარგში მიღებულ ზომებს და გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

— მოისმენს სამინისტროების, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ანგარიშებს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, კომისიის გადაწყვეტილებებს და ნორმატიულ აქტებს (ნორმებს, ინსტრუქციებს, დებულებებს და ა. შ.) საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების საკითხებზე;

— შეამოწმებს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიების მუშაობის მდგომარეობას და გაუწევს მათ მეთოდურ დახმარებას; მოისმენს ამ კომისიების თავმჯდომარეთა ანგარიშებს, განაზოგადებს და გაავრცელებს მათ დადებითს გამოცდილებას;

— ჩაატარებს თავის მუშაობაში სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ორგანიზაციის დარგში მიღებული მიღწევათა განსახილველად, შეისწავლის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას და მიიღებს ზომებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მუშაობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკაში დასანერგად;

— განიხილავს რესპუბლიკაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის ღონისძიებებს ტრანსპორტზე ავარიულობის მიზეზების აღმოსაფხვრელად;

— მოაწყობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სემინარებსა და თათბირებს, განახორციელებს ღონისძიებებს მათ მიერ მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დასანერგად;

— განიხილავს ახალ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერებას;

— გაუწევს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დახმარებას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა თავიდან აცილებისათვის მუშაობის გაუმჯობესებაში.

კომისიის წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. კომისიის ყველა წევრს აქვს თანაბარი უფლება-მოვალეობანი.

2. კომისიის წევრები:

— განახორციელებენ ღონისძიებებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დარგში კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად; თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებენ და მიიღებენ ზომებს ავტოტრანსპორტზე ავარიულობის თავიდან ასაცილებლად;

— წარადგენენ წინადადებებს კომისიის სამუშაო გეგმებში საგზაო მოძრაობის დარგის საკითხების შეტანის შესახებ, მონაწილეობას მიიღებენ მათ განსახილველად შესაბამისი მასალების მომზადებაში;

— კომისიის ან მისი ხელმძღვანელობის დავალებით სათავეში ჩაუდგებიან სამუშაო ჯგუფებს კომისიის სხდომაზე განსახილველად საკითხების მომზადებისათვის.

კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

1. კომისიის სამუშაო გეგმების პროექტები განიხილება და დამტკიცდება მის სხდომებზე.

2. კომისიის სხდომები ჩატარდება კვარტალში ერთხელ მაინც. სხდომის ჩატარების დროსა და მასზე განსახილველ საკითხებს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. განსაკუთრებულ შემთხვევებში კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილე კომისიის წევრთა ხმის უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილება საჭიროების კვალობაზე გამოქვეყნდება პერიოდულ პრესაში.

4 კომისიის სხდომაზე განსახილველ საკითხთა ხასიათის შესაბამისად მიიწვევიან დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის სამდივნოს ფუნქციები

სამდივნოს ფუნქციებს განეკუთვნება:

— მონაწილეობა კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტებისა და საჭირო მასალების მომზადებაში; კომისიის მიერ განსახილველად მოსამზადებელ მასალებზე წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადება;

— სამინისტროთა, უწყებათა და სხვა ორგანიზაციათა წინადადებების განხილვა და განზოგადება და მათ საფუძველზე კომისიის მიმდინარე და პერსპექტიული სამუშაო გეგმების პროექტების მომზადება;

— საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შესახებ ინფორმაციის შესწავლა და ღონისძიებათა მომზადება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;

—კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულების ვადებისადმი კონტროლის განხორციელება;

— წარმომადგენლობა სამინისტროებში, უწყებებსა და სხვა ორგანიზაციებში საგზაო მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების საკითხთა განხილვის დროს;

— კომისიის დოკუმენტაციის წარმოება, კომისიის წევრთათვის სხდომის მოწვევისა და სხვა ღონისძიებათა შეტყობინება, მათთვის დღის წესრიგის მასალებისა და გადაწყვეტილებათა პროექტების გაცნობა.

---

34 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 4 თებერვლის № 98 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მეცნიერების, კულტურის, განათლების, აგრეთვე მუშაკთა მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი დაწესებულებების დაფინანსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 4 თებერვლის № 98 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 13 ივლისის № 763 დადგენილება „საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით კაპიტალური მშენებლობის 1948 წლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 14 სექტემბრის № 1049 დადგენილება „თბილისის კინოსტუდიის მუშაობის გაუმჯობესებისა და კინემატოგრაფიის შემოსავლის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 მაისის № 734 დადგენილება „საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 20 ოქტომბრის № 1394 დადგენილება „საქართველოს სსრ თეატრებისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 29 აპრილი, № 287.

35 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 მარტის № 290 დადგენილების მე-13 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„რკინიგზის ტრანსპორტის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 4 თებერვლის № 99 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური და ინდივიდუალური მებოსტნეობისა და მებაღეობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 მარტის № 290 დადგენილების მე-13 პუნქტი საგარეუბნო მატარებლებით მგზავრობის ბილეთების გაყიდვის ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 29 აპრილი, № 288.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 თებერვლის № 112 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„კულტურის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 თებერვლის № 112 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 8 თებერვლის № 112 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-5 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 აგვისტოს № 652 დადგენილებისა „სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოთა და სასწავლო მოწყობილობის წარმოების გაფართოებისა და ამ ხელსაწყო-მოწყობილობით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 24 სექტემბრის № 501 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 29 აპრილი, № 289.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 29 აპრილის № 289
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 4 იანვრის დადგენილება „საუწყებო გამომცემლობათა შესახებ“ (საქართველოს სსრ კანონთა კრებული, 1927 წ.; № 1, მუხ. 13).

2. მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 28 ივნისის № 664 დადგენილებისა „კინოთეატრების ბილეთების ბეჭდვის მოწესრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გებისა და კინოდანადგარების საფინანსო მეურნეობისადმი კონტროლის ... წესების შესახებ“.

3. მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 8 აპრილის № 392 დადგენილებისა „1952 წელს კინოს შემოსავლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფის ზომების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 24 თებერვლის № 319 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში მხატვრული კინოფილმების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

---

37 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 21 თებერვლის № 154 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„თევზის, ხორცისა და რძის მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 21 თებერვლის № 154 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-2 და მე-3 პუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 13 სექტემბრის № 1195 დადგენილებისა „ძეხვეულის ხარისხის გაუმჯობესების, ძეხვეულის წარმოების გადიდებისა და საქართველოს სს რესპუბლიკაში ამ ნაწარმით ვაჭრობის ორგანიზაციის ღონისძიებათა შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 18 ოქტომბრის № 1398 დადგენილება „ხორცით, ძეხვის ნაწარმითა და საქონლის ცხიმით ვაჭრობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, აგრეთვე ამ პროდუქტების ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 29 აპრილი, № 290.

ეროვნული ბიბლიოთეკა

38 საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა შესახებ

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 მაისის № 342 და 1964 წლის 24 იანვრის № 33 დადგენილებანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1977 წ. 29 აპრილი, № 292

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 29 აპრილის № 292
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. ამ დებულების საფუძველზე მოქმედი საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები მოწოდებული არიან დახმარება გაუწიონ სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოებს იმ მხრივ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს წესრიგი და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოება, გაძლიერდეს ავტოტრანსპორტზე, მოტოტრანსპორტსა და საქალაქო ელექტროტრანსპორტზე ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლა და განხორციელდეს მძღოლთა შორის და მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების შესახებ.

საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველო სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, აგრეთვე ამ დებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორებად შეიძლება იყვნენ 18 წლის-ასაკს მიღწეული პირები — სატრანსპორტო საშუალებათა ყველაზე დისციპლინიანი მძღოლები, ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ხელმძღვანელები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, საგზაო ორგანოებისა და მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობის ზედამხედველობისადმი სახელმწიფო ინსპექციის მუშაკები, ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების წარმომადგენლები (თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები), სასწავლებლებისა და კლუბების მასწავლებლები და ინსტრუქტორები, აგრეთვე მოწინავე მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები, პენსიონერები, რომლებიც სრულყოფილად იცნობენ საგზაო მოძრაობის წესებს.

3. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა კანდიდატურებს, რომლებსაც წამოაყენებენ ნებაყოფლობითს საწყისებზე იმ კოლექტივთა კრებები, სადაც ირიცხებიან კანდიდატები, მიიღებენ საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო (რაიონული) საბჭოები და დაამტკიცებენ სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება (ქვეგანყოფილება).

4. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი თავის მოვალეობას შეასრულებს როგორც ხაზზე მუშაობასთან შეხამებით (თუ იგი მძღოლია), ისევე მუშაობისა და მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს.

5. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა მითითებანი მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ, ამ დებულებით განსაზღვრული მათი უფლებების ფარგლებში, სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და ტრანსპორტის მძღოლისათვის.

6. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილება ან სახელმწიფო ავტოინსპექცია საზოგადოებრივ ავტოინსპექტორებს მისცემენ ერთიან სპეციალურ მოწმობებს. ტრანსპორტის მძღოლებს, რომლებიც საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები არიან, გარდა მოწმობისა, მიეცემათ საზოგადოებრივი ავტოინსპექტორის სპეციალური ტალონები.

7. სპეციალური მოწმობები და სპეციალური ტალონები საზოგადოებრივ ავტოინსპექტორებს მიეცემათ ერთი წლის ვადით. ეს დოკუმენტები განახლდება ან მათი მოქმედების ვადა გაგრძელდება საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე.

8. იმ დროისათვის, როცა საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი მართავს მისთვის მიჩენილ ტრანსპორტს, ამ ავტოტრანსპორტს გაუკეთდება გამოსაცნობი ნიშანი: მსუბუქ ავტომობილს, ავტობუსს, ტრამვაისა და ტროლეიბუსს — ქარსარიდ და უკანა მინებზე, ხოლო სატვირთო ავტომანქანას — ქარსარიდ მინასა და უკანა ბორტზე მარცხნივ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა შემადგენლობიდან საკუთარი ხელმოწერილით ან საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით გასული პირები, აგრეთვე ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასული პირები მოვალენი არიან ჩააბარონ სახელმწიფო ავტოინსპექციას მათთვის მიცემული სპეციალური მოწმობები, ტალონები და გამოსაცნობი ნიშნები.

II. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა მოვალეობანი

10. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი მოვალეა იყოს შეურიგებელი საზოგადოებრივი წესრიგისა და საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევთა მიმართ, უნდა ახორციელებდეს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მძღოლთა და ქვეითად მოსიარულეთა დისციპლინის განმტკიცება და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება.

11. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი მოვალეა:

ა) კარგად იცოდეს საგზაო მოძრაობის წესები, იყოს მაგალითის მიმცემი მოძრაობის წესების დაცვისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის საქმეში;

ბ) თვალყური ადევნოს იმას, რომ ტრანსპორტის მძღოლებმა და მგზავრებმა, აგრეთვე ქვეითად მოსიარულეებმა მტკიცედ დაიცვან საგზაო მოძრაობის წესები ქუჩებში და გზებზე;

გ) მონაწილეობა მიიღოს ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისადმი კონტროლის განხორციელებაში, თავიდან აიცილოს ტექნიკურად უწესივრო ავტომობილების გამოსვლა ხაზზე;

დ) თვალყური ადევნოს, სწორად იყენებენ თუ არა მძღოლები სატრანსპორტო საშუალებებს;

ე) გასწიოს მუშაობა საგზაო მოძრაობის წესების განმარტებისათვის როგორც ავტომეურნეობებში, ისევე მოსახლეობაში და საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის;

ვ) იყოს თავაზიანი და ტაქტიანი თავისი მოვალეობის შესრულებისას შესამოწმებელი სატრანსპორტო საშუალებების მძღოლთა ან მოძრაობის სხვა მონაწილეთა მიმართ, წარუდგინოს მათ საზოგადოებრივი ავტოინსპექტორის მოწმობა;

ზ) საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევებზე ზემოქმედება მოახდინოს უწინარეს ყოვლისა დარწმუნებითა და გაფრთხილებით, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა მძღოლი არ გაჩერდა საზოგადოებრივი ავტოინსპექტორის სიგნალით, ჩაიწეროს ტრანსპორტის სანომრო ნიშანი და სახეობა, წესის დარღვევის თარიღი, დრო, ადგილი და ხასიათი, შეძლებისდაგვარად აღნიშნოს მოწმეები და ამის შესახებ წარუდგინოს პატაკი საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭოს რეაგირებისათვის;

თ) გამოავლინოს ნაკლოვანებანი მოძრაობის ორგანიზაციის არსებულ სქემებში, შეიტანოს წინადადებანი მათი აღმოფხვრის შესახებ;

ი) დაუყოვნებლივ აცნობოს სახელმწიფო ავტოინსპექციას მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებათა ყველა აღმოჩენილი უწესივრობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ) მოხსნას ხაზიდან და გაგზავნოს გარაჟში სატრანსპორტო საშუალებანი, რომელთაც აქვთ ისეთი ტექნიკური უწესივრობანი, რაც საფრთხეს უქმნის მოძრაობას, რის შესახებაც მძღოლს ჩაუწეროს საგზურში, ხოლო ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების წევრებს — საზოგადოებრივი გაფრთხილების ტალონში და გადაუგზავნოს იგი სახელმწიფო ავტოინსპექციას რეაგირებისათვის;

ლ) ხელი შეუწყოს სკოლებს იმ მხრივ, რომ შექმნან მოძრაობის ნორჩ ინსპექტორთა რაზმები ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის თავიდან აცილებისათვის პროფილაქტიკური მუშაობის განსახორციელებლად;

მ) თავისი მოვალეობის შესრულებისას თან იქონიოს საზოგადოებრივი ავტოინსპექტორის მოწმობა, ხოლო ქუჩებში ან გზებზე საპატრულო სამსახურის შესრულებისას — გარდა ამისა, წითელი მკლავსახვევი წარწერით „საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი“ და კვერთხი.

III. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა უფლებანი

12. დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით საზოგადოებრივ ავტოინსპექტორს ენიჭება უფლება:

ა) გააჩეროს სატრანსპორტო საშუალებანი (დიპლომატიური, სახანძრო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, საფოსტო, საინკასაციო, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოპერატიული და სამხედრო ავტომობილების გარდა), რომელთა მძღოლებმა დაუშვეს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, და შეამოწმოს, აქვთ თუ არა მათ საგზურები და მძღოლის დოკუმენტები, დაადგინოს მძღოლთა მიერ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების სისწორე, გააფრთხილოს ისინი, რომ დაუშვებელია მოძრაობის წესების დარღვევა;

ბ) ჩამოაშოროს სატრანსპორტო საშუალებათა მართვას და მიიყვანოს მილიციის ან სახელმწიფო ავტოინსპექციის უახლოეს ორგანოში მძღოლები, რომლებიც საჭეს მართავენ არაფხიზელ მდგომარეობაში, ხოლო საგზაო მოძრაობის წესების სხვა უხეშ დარღვევათა შემთხვევაში შეადგინოს პატაკი დამრღვევთა შესახებ, ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების წევრებს კი ჩამოართვას საზოგადოებრივი გაფრთხილების ტალონები და სამი დღის ვადაში წარუდგინოს ისინი სახელმწიფო ავტოინსპექციას რეაგირებისათვის;

გ) გააფრთხილოს ქვეითად მოსიარულეები და ტრანსპორტის მგზავრები, რომლებმაც დაარღვიეს საგზაო მოძრაობის წესები;

დ) მიიღოს ზომები, რათა დააკავოს ავტომანქანა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ჩამდენი მძღოლი მილიციის მუშაკთა ადგილზე მისვლამდე, დაიცვას შემთხვევის ადგილი და ჩაიწეროს მოწმეთა გვარი და მისამართი;

ე) მივიდეს დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე საუბრების ჩასატარებლად და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორს ეკრძალება:

— ადმინისტრაციული ოქმების შედგენა;

— დაჯარიმება მოძრაობის წესების დარღვევისათვის;

— აიძულოს მძღოლები გადაზიდონ ტვირთი, გადაიყვანონ ადამიანები ან შეცვალონ მოძრაობის მარშრუტი;

— ჩამოართვას რაიმე დოკუმენტები მოქალაქეებსა და მძღოლებს, გარდა საზოგადოებრივი გაფრთხილების ტალონებისა ამ დებულების მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

— მოხსნას სანომრო ნიშნები სატრანსპორტო საშუალებებს.

IV. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა წახალისება და პასუხისმგებლობა

14. საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებაში, უხეში დარღვევების დამშვებ ან საგზაო შემთხვევების ჩამდენ მძღოლთა დაკავებაში, შეიძლება წაახალისონ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულმა ორგანოებმა, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ და კოლმეურნეობის გამგეობამ მადლობის გამოცხადებით, სიგელის გადაცემით, საპატიო დაფაზე შეტანით და სხვ. ვაჟკაცობისა და მამაცობის გამოჩენისათვის საზოგადოებრივი ავტოინსპექტორები წარდგენილ იქნებიან ჯილდოზე.

15. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივმა ავტოინსპექტორმა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები (არაფხიზელ მდგომარეობაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ჩადენისა და სატრანსპორტო საშუალების მართვის გარდა), ადმინისტრაციული ზომები მის მიმართ ადგილზე არ მიიღება, არამედ ჩამოერთმევა საზოგადოებრივი ავტოინსპექტორის ტალონი და ოქმთან ერთად გაეგზავნება საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა შესაბამის საბჭოს ზომების მისაღებად.

საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭო დანაშაულის ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით გამოუცხადებს დამრღვევს საყვედურს, ანდა შინაგან საქმეთა ან სახელმწიფო ავტოინსპექციის შესაბამისი ორგანოს წინაშე დააყენებს საკითხს საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა შემადგენლობიდან მისი გარიცხვის შესახებ, რასაც ამავე დროს აცნობებს მისთვის რეკომენდაციის მიმცემ ორგანიზაციას.

V. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭოები

16. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რესპუბლიკური (საქალაქო, რაიონული) საბჭოს საქმიანობისადმი საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს შინაგან საქმეთა რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული ორგანოს სახელმწიფო ავტოინსპექცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭო აირჩევა ღია კენჭისყრით რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის, რაიონის საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საერთო კრებებზე სულ ცოტა 7 კაცის შემადგენლობით ერთი წლის ვადით.

18. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭო თავისი შემადგენლობიდან აირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და პასუხისმგებელ მდივანს, ხოლო საჭიროების კვალობაზე — საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილესა და სამდივნოს, შექმნის სათანადო დარგობრივ სექციებს.

19. რაიონის, ქალაქის საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭოს ძირითადი მოვალეობაა:

ა) საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა მუშაობის ორგანიზაცია და კოორდინაცია რაიონში, ქალაქში;

ბ) მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება;

გ) ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის სისწორის შემოწმების ორგანიზაცია;

დ) მოძრაობის უსაფრთხოების წესების პროპაგანდა;

ე) საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება;

ვ) სხვადასხვა სპორტული ღონისძიების — კროსების, გარბენების, შეჯიბრებების ჩატარება და ა. შ.;

ზ) ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების რაიონულ და საქალაქო საბჭოებთან ერთად სატირული კედლის გაზეთების, ბიულეტენების, ფოტოსტენდებისა და სხვა მასალების გამოშვების ორგანიზაცია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე.

20. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რესპუბლიკური (საქართველოს სსრ, ასსრ), საოლქო (ავტონომიური ოლქის) საბჭო:

ა) არის საზოგადოებრივი ორგანო, რომელსაც ეკისრება დახმარება გაუწიოს მუშაობაში საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რაიონულ (საქალაქო) საბჭოებს და განახორციელოს მათი საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) მოაწყობს საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების სოციალისტურ შეჯიბრებას, შეაჯამებს მის შედეგებს, და ამტკიცებს საბჭოებს შორის მოსაწყობი კონკურსების პირობებს;

გ) დაეხმარება სახელმწიფო ავტოინსპექციას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებაში;

დ) პოპულარიზაციას გაუწევს მუშაობის მოწინავე მეთოდებს, უზრუნველყოფს მათ გავრცელებას და საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რაიონულ (საქალაქო) საბჭოებს შორის გამოცდილების გაზიარებას მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) შეამოწმებს საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების მუშაობას და მიიღებს ზომებს მისი გაუმჯობესებისათვის;

ვ) მოისმენს ანგარიშებს საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების მუშაობის შესახებ;

ზ) მოაწყობს ტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი ექსპლუატაციის სისწორის შემოწმებას;

თ) პროპაგანდას გაუწევს საგზაო მოძრაობის წესების ცოდნას და უზრუნველყოფს მათ დაცვას;

ი) გამოუშვებს სატირულ კედლის გაზეთებს, ფოტოსტენდებს, მოკლემეტრაჟიან კინოფილმებს, ბიულეტენებსა და სხვა მასალებს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე.

21. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭოს სხდომები მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც. საორგანიზაციო მუშაობას სხდომებს შორის პერიოდში განახორციელებს საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭოს სამდივნოს პასუხისმგებელი მდივანი.

22. საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა საბჭოებს მჭიდრო კავშირი აქვთ ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულებთან, რესპუბლიკის ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითს საზოგადოებებთან, ავრეთვე იმ კოლექტივებთან, რომლებმაც წამოაყენეს საზოგადოებრივ ავტოინსპექტორთა კანდიდატურები.

---

39 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 თებერვლის № 161 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მსუბუქი მრეწველობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 თებერვლის № 161 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

თბილისი, 1977 წ. 29 აპრილი, № 294

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1977 წლის 29 აპრილის № 294
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც შალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 თებერვლის № 161 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 მარტის № 229 დადგენილება „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ გამომუშავებული სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 ივლისის № 722 დადგენილება „საბავშვო საქონლის წარმოების გაფართოებისა და ბავშვთა დაწესებულებების სამრეწველო საქონლითა და ინვენტარით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 7 აპრილის № 360 დადგენილება „საფეიქრო-საგალანტერეო ნაწარმის დამზადების გაფართოებისა და ქ. თბილისში საფეიქრო-საგალანტერეო ნაწარმის და ფეტრის ქუდების ფაბრიკის მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 19 სექტემბრის № 1267 დადგენილება „1950-1951 წლის სეზონში სავაჭრო ქსელის შემოდგომა-ზამთრის ასორტიმენტის სამრეწველო საქონლით უზრუნველყოფის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 19 აგვისტოს № 1268 დადგენილება „ტყავის ფეხსაცმლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 აპრილის № 277 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების ზომების შესახებ“.

7. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 622 დადგენილება „სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის 1959 წლის III კვარტალის საკრედიტო და საკასო გეგმების შესახებ“.

8. „ტყავის ფეხსაცმლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 დეკემბრის № 812 დადგენილების 1-ლი პუნქტი („რ“, „ს“, „ტ“ ქვეპუნქტების გარდა), მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი და “ბ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

9. „სამკერვალო ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ასორტიმენტის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჭოს 1962 წლის 8 ოქტომბრის № 687 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, მე-3 პუნქტი, მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-13 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 752 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასურსათო და სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების აღნიშვნის პრაქტიკის გაფართოების შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 მაისის № 333 დადგენილება „ბამბის ბოჭკოს ხარჯვის და სელის ქსოვილების ფონდის შემცირების შესახებ.“

ინდექსი—76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1977 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/X-77 წ. ქაღალდის ზომა 70X108 1/16
საბეჭდი თაბახი 4 სააღრიცხვო თაბახი 4

შეკვეთა№ 598 უე 04226 ტირაჟი 2190

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

b 79/249

ეროვნული
ბიბლიოთეკა